ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 32

ქალაქი ქუთაისი 25 იანვარი 2023 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილებისა და გამომდინარე აქედან, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2023 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილების თაობაზე

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის $ბ^2$ ქვეპუნქტის, 28^1 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის 27^1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N158 განკარგულების საფუძველზე, 2023 წლის 25 იანვარს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილებისა და გამომდინარე აქედან, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ მიიღო შემდეგი **გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა:**

„მუხლი 1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N158 განკარგულებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ბესიკ ბრეგაძისათვის ვადამდე ადრე, 2022 წლის 29 დეკემბრიდან, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილება.

მუხლი 2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცნობად იქნეს მიღებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობა, რომელიც განსაზღვრულია საკრებულოს შემდეგი წევრებისაგან:

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო

1. **მახარაძე ბაქარ**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;

2. **კოპალეიშვილი ამირან**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;

3. **სიმონიძე მაია**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;

4. **ნიჟარაძე მარეხ**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;

5. **მამასახლისი ზაქრო**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;

6. **ბასილაძე გია**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;

7. **ლილუაშვილი პაატა**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;

8. **შენგელია ირაკლი**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;

9. **ჭოხონელიძე მერაბ**, რომელიც წარმოდგენილია **პირადი განცხადების** საფუძველზე;

10. **კილაძე გიორგი**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ;

11. **ფხაკაძე დარეჯან**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ;

12. **ბახტაძე დავით**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ;

13. **მანაგაძე გაგა**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ;

14. **ქვაჩაკიძე რომან**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ;

15. **არჩაია ელეონორა**, რომელიც წარმოდგენილია **პირადი განცხადების** საფუძველზე;

16. **გურული კობა**, რომელიც წარმოდგენილია **პირადი განცხადების** საფუძველზე.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2023 წლის 25 იანვრის 21-ე სხდომის საოქმო გადაწყვეტილება წინამდებარე ბრძანების დედანს თან ერთვის)“

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ ირაკლი შენგელია